ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 4

ქ. ლანჩხუთი

04.08.2020 წელი
16.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე.**

კომისიის წევრები: ოთარ პატიეშვილი, ამირან ქანთარია, ზესიკ კუპრაძე, აკაკი იმნაიშვილი, იოსებ ჩხაიძე, სპარტაკ კვაჭაძე, ლელა ჩახვაძე, ვენე კვირკველია.

მოწვეული სტუმარი: ,,დუმბაძის ქუჩაზე ასფალტის დაგების შესახებ" პეტიციის ავტორი დავით კვიტაიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი რუსუდან გვარჯალაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ნ. დუმბაძის ქუჩაზე ასფალტის დაგების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი გვარჯალაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: დუმბაძის ქუჩაზე ასფალტის დაგების შესახებ საკითხი კომისიას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ.** მან განმარტა, რომ საკრებულოში შემოვიდა ელექტრონული პეტიცია, რომლის ავტორია ამავე ქუჩაზე მცხოვრები დავით კვიტაიშვილი. მისი თქმით, მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გამო, დასახლება დგას შემდეგი პრობლემების წინაშე:

1. წვიმის დროს მცირეწლოვნები ვერ ახერხებენ სკოლამდე მისვლას და შესაბამისად მათი განათლებაზე წვდომა შეზღუდულია.

2. ადგილობრივ შშმ პირს არ აქვს ქუჩაში გადაადგილების საშუალება.
3. უხარისხოდ მოწყობილი სანიაღვრე სისტემის გამო ზიანდება ადგილობრივთა საცხოვრებელი სახლები.
4. ფერხდება ადგილობრივი ტურიზმის(საოჯახო ტიპის სასტუმროების) განვითარება.
5. ხანდაზმულების ჯანმრთელობას ადგება ფიზიკური ზიანი, კერძოდ, რამდენიმე მაცხოვრებელმა მიიღო მძიმე მოტეხილობა.
6. ქუჩის მობინადრეებს უწევთ ტაქსის მომსახურებაში გაზრდილი საფასურის გადახდა.
7. ზიანდება მაცხოვრებელთა ავტომობილები.
8. მოქალაქეებისთვის გაუსაძლისია ქუჩაში გამოსვლა, საავტომობილო მოძრაობის შედეგად წარმოქმნილი მტვრის გამო, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენს ამ უკანასკნელთა ჯანმრთელობაზე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ნ. დუმბაძის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს ამ ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგებას.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** თხოვა საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (აპარატის უფროსს) **ნინო ძიძიგურს** გაეკეთებინა განმარტება პეტიციასთან დაკავშირებით.

საკრებულოს აპარატის უფროსმა **ნინო ძიძიგურმა** განმარტა, რომ საკრებულოს ელექტრონულ გვერდზე დარეგისტრირდა პეტიცია „ნ. დუმბაძის ქუჩაზე ასფალტის დაგების შესახებ", რომელსაც კანონის (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საკრებულოს რეგლამეტი) შესაბამისად (მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა 1%) თან ახლდა 300 ამომრჩევლის ხელმოწერა. აღნიშნული ხელწერების გადამოწმების შედეგად დადგინდა ხარვეზი (რამოდენიმე ხელმომწერი არ იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველი), რომელიც აღმოიფხვრა ვადაზე (10 დღე) ადრე და ასევე უმოკლეს ვადაში მოხდა შესაბამისი კომისიის სხდომაზე განხილვა. საკრებულოს აპარატის უფროსმა იქვე განმარტა, რომ კომისიის მიერ საკითხის დადებითად შეფასების შემთხვევაში კომისიის ოქმი დასკვნასთან ერთად გადაეგზავნება მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი რეაგირებისათვის და ასევე ეცნობება პეტიციის ავტორს დავით კვიტაიშვილს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნეს მიღებული წარმოდგენილი ელექტრონული პეტიცია, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის დროული მოგვარება. პეტიცია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" შესაბამისად, უფლებამოსილების მიხედვით, განსახილველად უნდა იქნეს გადაგზავნილი მუნიციპალიტეტის მერთან.

მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

დეპუტატმა **ამირან ქანთარიამ** აღნიშნა, რომ მოსაწესრიგებელია შ.პ.ს „ჯანმრთელობის" მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, ქ. ლანჩხუთში კვირკველიას ქ. N 16-ში მდებარე 103 და 202 კვ.მ. მიწის ნაკვეთები. აღნიშნული მიწის ნაკვეთები სკვერის მოწყობის მიზნით, ამოღებული იქნა ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ნუსხიდან (ქ. ლანჩხუთში, კვირკველის ქ. N16-ში მდებარე მრავალსართულიან სახლში მცხოვრებთა და პირველ სართულზე განთავსებულ კლინიკა „ჯანმრთელობის“ მფლობელთა N148 განცხადების 05.04.2016წ. საფუძველზე).

დეპუტატმა **ლელა ჩახვაძემ** განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოშვილში, ე.წ ჩახვაძეების უბანში მოსაწესრიგებელია გზის 200 მეტრიანი მონაკვეთი.

დეპუტატმა **ოთარ პატეიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში, ავტოსადგურის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია ასფალტის საფარი.

დეპუტატმა **აკაკი იმნაიშვილმა** უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სოფელ შუხუთში არ არის ტროტუარი, იგი წყდება ქალაქისა და შუხუთის საზღვართან, რაც საფრთხეს უქმნის ქვეითად მოსიარულე მოსახლეობას, რომლებიც ძირითადად, შიდა ტრანსპორტის არ არსებობის გამო, ფეხით გადაადგილდებიან ქალაქის მიმართულებით. მისი თქმით, აუცილებელია ტროტუარის მოწყობა მინიმუმ ქალაქის ბოლოდან შუხუთის ცენტრამდე.

დეპუტატმა **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია ქალაქის ცენტრალურ უბანში, სოციალური სამსახურის შენობასთან მისასვლელი გზის მონაკვეთი.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ თხემლარი-ბაკურის გზა დავიწროებულია ჩოჩობების გამო, რომელიც სასწრაფოდ უნდა გაიკაფოს, რადგან მოსახლეობამ შეძლოს აღებული მოსავლის გამოტანა მიმდებარე საყანე ფართობებიდან.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: **/გიორგი გვარჯალაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N4

ქ. ლანჩხუთი 04.08.2020 წ.

2020 წლის 4 აგვისტოს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

ნ.დუმბაძის ქუჩაზე ასფალტის დაგების შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნეს მიღებული წარმოდგენილი ელექტრონული პეტიცია, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხის დროული მოგვარება. პეტიცია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ შესაბამისად, უფლებამოსილების მიხედვით, განსახილველად უნდა იქნეს გადაგზავნილი მუნიციპალიტეტის მერთან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

4.08.2020 წ.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	15.55	
2.	ცისანა ურუშაძე		
3.	კახა ბოლქვაძე		
4.	ბესიკ კუპრაძე	15-57	
5.	ოთარ პატიეშვილი	15:55	
6.	სპარტაკ კვაჭაძე	15-54	
7.	ლელა ჩახვაძე	15 სთ. 45 წ	
8.	ზაზა წულაძე		
9.	რეზო კვაჭაძე		
10.	კახა თედორაძე		
11.	იოსებ ჩხაიძე	15-50	
12.	ამირან ქანთარია	16.00	
13.	აკაკი იმნაიშვილი	15 58	
14.	ელისო ჭიჭინაძე		
15.	ირაკლი მარშანიშვილი		
16.	ემზარ თევდორაძე		
17.	ვენე კვირკველია	15 50	